

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორის
#01/1/16, 14.05.2021 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ
მეფის სახელობის უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: ბიოფარმაცია 0916.2.4/ Biopharmacy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ბიოფარმაციის მაგისტრი
/ Master of Biopharmacy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120(ECTS) კრედიტი

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული:

ბიოსამედიცინო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის ფაკულტეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი: ლია წიკლაური, ფარმაციის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

მოამზადოს სპეციალისტი ბიოფარმაციის დარგში, რომელსაც ექნება ღრმა თეორიული ცოდნა ბიოფარმაციის ძირითადი ამოცანებში – მაქსიმალური ზრდა სამკურნალო ნივთიერებათა თერაპიული ეფექტურობისა და მინიმუმამდე დაქვეითება მათი გვერდითი ეფექტებისა, თანამედროვე უჯრედული და მოლეკულური ფარმაკოლოგიის ფუნდამენტური პრინციპებში, მრავლობითი წამლისმიერი რეზისტენტობის, სამკურნალო პრეპარატების შერჩევითი მოქმედების და ბიომედიცინის საფუძვლებში, სამიზნე სტრუქტურებსა და ადაპტაციურ პასუხზე წამლების მოქმედებაზე. ეცოდინებათ ორგანიზმში წამალთა ფარმაცოკინეტიკის, ბიოტრანსფორმაციის პროცესების და ფარმაკოლოგიური მკურნალობის მოლეკულურ-გენეტიკური ასპექტების შესახებ; ნანოტექნოლოგიების გამოყენების მიღწევები წამლის ბიომედიცინის გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე შეასწავლოს თანამედროვე მოლეკულურ-ბიოლოგიური და ბიოანალიზური მეთოდები. გააღრმავოს წარმოდგენა მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოქიმიაზე. პროგრამას სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი აქვს და ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნის, მათი მოქმედების მექანიზმების დადგენისა და პრაქტიკაში დანერგვის პერსპექტივას იძლევა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

უნივერსიტეტის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიღების, სწავლისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

მაგისტრანტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, გაივლის წინასწარ რეგისტრაციას სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ჩააბარებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საერთო სამაგისტრო გამოცდას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში) და საუნივერსიტეტო გამოცდების (სპეციალობაში - ზეპირი და უცხოურ ენაში(ინგლისური) - ზეპირი) დადებითი შედეგების საფუძველზე, ხოლო უცხოეთის მოქალაქეები – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით. შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საგნები და პირობები განისაზღვრება მოცემული პროგრამის შესწავლის დაწყებისათვის აუცილებელი ცოდნის დონით. ზემოაღნიშნული შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შესაბამისად და გამოქვეყნდება ყოველწლიურად, დადგენილი წესის მიხედვით.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

სტუდენტის სწავლის შედეგი

ა) ცოდნა

აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; ფლობს ინფორმაციას თანამედროვე ფარმაციის სხვადასხვა მიმართულების შესახებ.

ეუფლება ცოდნას წამალთა მოქმედების მოლეკულურ მექანიზმებში, მცენარეული, ცხოველური, მიკრობული წარმოშობის ან სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მოქმედებაში, წამალთა ორგანიზმში შეყვანის გზების და მათ შორის ურთიერთობის და სამკურნალო პოტენციალის გარკვევაში, წამალთა ფარმაკოკინეტიკურ და ფარმაკოდინამიკურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების თავისებურებების, ბიომედიცინის და მასზე მოქმედი ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენაში, წამლებისადმი რეზისტენტულობის და მის ჩამოყალიბებაში სატრანსპორტო ცილების როლის, აქტიური სუბსტანციის ორგანიზმში აბსორბციის, განაწილების, მეტაბოლიზმის და ელიმინაციის (გამოყოფის) საფუძველებში.

აქვს ცოდნა ბიოფარმაციაში ნანოტექნოლოგიების გამოყენების და თანამედროვე წამლის მოწოდების სისტემების შემუშავების პრინციპების შესახებ; მხამიანი და ძლიერმოქმედი სამკურნალო ნივთიერებების დიფერენცირების პრინციპების, გვერდითი და ტოქსიკური ეფექტების პროგნოზირების და მათი თავიდან აცილების შესახებ. სტუდენტი ფლობს ფარმაცევტული ტექნოლოგიის და ბიოქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს; ინსტრუმენტული მეთოდების ზოგადი სისტემატიზაციას, არსს, შესაძლებლობებს, გამოყენებით ასპექტებს. იცის პრაქტიკული სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ხელსაწყოების აგებულება და მუშაობის პრინციპები, მიღებული შედეგების დამუშავების ალგორითმი და ინტერპრეტაციის სპეციფიკა.

ბ) უნარი: აქვს სამკურნალო საშუალებების მოქმედების, წამლის რეზისტენტობის მექანიზმის განსაზღვრის და ანალიზის უნარი, საკვლევი საკითხის შერჩევის, ჰიპოთეზის ჩამოყალიბების უნარი. შეუძლია საჭირო კვლევითი სტრატეგიის შერჩევა; იყენებს საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარს; აქვს დროისა და რესურსების ეფექტური მენეჯმენტის უნარი.

აქვს ფარმაცევტული ტექნოლოგიის, ანალიზურ და ბიოანალიზურ ლაბორატორიული ტექნიკის და აპარატურასთან მუშაობის უნარ-ჩვევები, ბიოლოგიური სინჯების აღების და დამუშავების ჩვევები.

შეუძლია ფარმაცევტული ტექნოლოგიის და ბიოქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევის განხორციელება; სწორად აღიქვას კავშირი მოქმედი ნივთიერების ქიმიურ სტრუქტურას, წამლის მომზადების ტექნოლოგიასა და მის ფარმაცოლოგიურ ეფექტს შორის; გაითვალისწინოს მცენარეული, ცხოველური, მიკრობული და სინთეზური წარმოშობის ნედლეულის მიღების, შენახვის, გამოყენების და სტანდარტიზაციის თავისებურებები. დამოუკიდებლად განახორციელოს ბიოფარმაციის სფეროში ახალი ორიგინალური სამეცნიერო კვლევა დასახული ამოცანების გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების გამოყენებით.

ბიოფარმაციის მაგისტრს შესწევს ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში მოვლენების განვითარების პროგნოზირების, სწორი დასკვნების გამოტანის, დინამიკაში ცვლილებების მართვის, სათანადო არგუმენტების საფუძველზე ქმედებების არქიტექტონიკის ფორმირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი. შეუძლია კვლევის შედეგების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. აქვს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის გამომუშავების უნარი. აქვს საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

აქვს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი.

იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აქვს სამეცნიერო მოხსენებების და პრეზენტაციების მომზადების უნარი, როგორც სპეციალისტებისთვის ისევე ფართო აუდიტორიისათვის.

შეუძლია ჯგუფში კოორდინირებული საქმიანობა, სხვადასხვა წყაროებიდან ბიოფარმაციის სფეროში სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარმოდგენა, კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევების მიღება, საკვანძო საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დაცვა და დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა (როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ ევროპულ ენაზე).

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

ბიოფარმაციის მაგისტრს შეუძლია სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება. მას შესწევს ორიგინალური კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგების სწორი ინტერპრეტაციის, სპეციალიზაციის სფეროში კვლევის ინიცირების და საინტერესო იდეების

გენერირების უნარი. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია: სასწავლო, სამეცნიერო, ნორმატიულ ცნობარებსა და სხვა წყაროებთან დამოუკიდებლად მუშაობა, სწავლის პროცესის კრიტიკულად შეფასება და შემდგომი პროფესიული დახელოვნების მიზნით საკუთარი ცოდნის პრიორიტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრა.

იყენებს სამეცნიერო კვლევის ეთიკის ცოდნას. აფასებს და პატივს სცემს კოლეგების აზრს. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. კრიტიკულად, „ცივი გონებით“ აფასებს ახალი მედიკამენტების შესაძლებლობებს. სამაგისტრო დისერტაციაზე ან თეზისზე მუშაობისას აცნობიერებს, როგორც სამეცნიერო სამყაროში არსებული დაუწერელი კანონების (აკადემიური პატიოსნების), ასევე კვლევის შედეგად მიღებული უარყოფითი შედეგების ობიექტურად წარმოჩენის მნიშვნელობასაც. პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის, დამოუკიდებელ მეცადინეობის, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკის, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარების, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სამაგისტრო ნაშრომი) მუშაობის, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვისა და სხვა შესაბამის ფორმატში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა: წიგნზე მუშაობის მეთოდი (ამონაწერების/ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.), ვერბალური მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი (ვიზუალურად წარმოდგენილი მასალების ესთეტიურობა, პრეზენტაციის ტექნოლოგია, აპარატურის მოხმარების, ვიდეომასალის დემონსტრირება), პრაქტიკული მეთოდი (საწარმოო-გაცნობითი, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვ.), ევრისტიკული მეთოდი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის და მისი სტატისტიკური ანალიზი, გონებრივი იერიში, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტება, რაციონალური საკითხის დასმა, გადაწყვეტის გზა და მეთოდი, შედეგი და არგუმენტაცია; რეგლამენტის დაცვა, ლოგიკური მსჯელობა, სწორი დასკვნების გაკეთება, შეკითხვებზე ოპტიმალური პასუხი.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მაგისტრანტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესებს და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ. გათვალისწინებულია გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპები. სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 და შესაბამისი დამატებების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო კურსების, ზოგადი ან თავისუფალი კომპონენტების შესწავლას. მაგისტრანტს უფლება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი დისციპლინები სამაგისტრო პროგრამის არჩევითი ნაწილიდან. მაგისტრანტის მიერ შესასრულებელი სასწავლო და კვლევითი სამუშაო იზომება კრედიტით.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება ხდება მხოლოდ მოთხოვნილი სამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ და ამ სამუშაოს დადებითი შეფასების შემთხვევაში. მაგისტრანტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს: 1. სტუდენტის შუალედურ შეფასებებს 60 ქულის ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, მოიცავს მაგისტრანტის აკადემიურ აქტივობას, დამოუკიდებელ მუშაობას და სხვა კომპონენტებს (კოლოკვიუმი, პრეზენტაცია და ა.შ.). შუალედური შეფასებების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი სხვადასხვა საგანში განსხვავებულია და შეესაბამება საგნის ეფექტური სწავლების ინტერესს. შეფასებების პარამეტრები მრავალფეროვანია, ასახულია სილაბუსებში (დასაშვებია მათი ცვალებადობა). თანაფარდობა სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით.

დასკვნითი გამოცდის ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით დიფერენცირებულია. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდაზე მაქსიმალური შეფასების მიღების შემთხვევაში შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა მაინც. დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია მაგისტრანტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში. გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სხვა კომპონენტებით დაგროვილი ქულების მიუხედავად, მაგისტრანტი კრედიტს ვერ იღებს.

საბოლოო შეფასებაში (შუალედურ და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%-ს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს; და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, ანუ, თემის საჯარო პრეზენტაციას.

სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე

პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს (იხ. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №061/01 2018 წლის 5 დეკემბერი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ)

სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მე-3 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭო. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულები

№	კრიტერიუმი	ქულა	კომისიის წევრის შეფასება (ქულებში)
1	კვლევის სამეცნიერო და ან მეთოდური ღირებულების არგუმენტირების ხარისხი	0-15	
2	კვლევის მიზნის, ამოცანების და კვლევის მეთოდის ურთიერთშესაბამისობა	0-15	

3	შედეგების სარწმუნოება და დამაჯერებლობა	0-15	
4	კვლევის შედეგების შესაბამისობა დასახულ მიზანსა და ამოცანებთან	0- 15	
5	მაგისტრანტის მიერ დარგობრივი/ თემატური აკადემიური ტერმინოლოგიის ფლობის ხარისხი	0- 10	
6	პრეზენტაციის ვიზუალური კომპონენტი (თვალსაჩინოებათა ადეკვატურობა და საკმარისობა)	0-10	
7	დისკუსიაში მაგისტრანტის მიერ საკუთარი პოზიციის არგუმენტირების ხარისხი	0-20	
	სულ	100	

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი განსაზღვრულია უნივერსიტეტის 2 ერთეული პროფესორის, 1 ერთეული ასოცირებული პროფესორის აკადემიური პერსონალით. ასევე, 6 ერთეული მოწვეული სპეციალისტის (პედაგოგის) პერსონალით რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის

არჩევითი დისციპლინები		18							
უჯრედული ბიოლოგია და ბიოლოგიური სისტემები	M0916.2.4.10	6	45	105	6				მოწვეული პედაგოგები და მუშაკები
ფარმაცევტული ნანოტექნოლოგიების საფუძველები	M0916.2.4.11	6	45	105		6			ასოც. პროფესორები და წიკლაური
ნანობიოტექნოლოგიის საფუძველები	M0916.2.4.12	6	45	105			6		ასოც. პროფესორები და წიკლაური
წამლის დიზაინი	M0916.2.4.13	6	45	105	6				ასოც. პროფესორები და წიკლაური
ფარმაცევტული პროდუქციის ექსპერტიზა და ანალიზი	M0916.2.4.14	6	45	105			6		მოწვეული პედაგოგები და მუშაკები
წამლებისადმი რეზისტენტულობა	M0916.2.4.15	6	45	105		6			ასოც. პროფესორები და წიკლაური
ზოგადი ან თავისუფალი კომპონენტები, კვლევა		50							
აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი	M01	5	45	80		5			პროფესორები და მუშაკები
ანთროპოლოგია	M02	5	45	80			5		პროფესორები და მუშაკები
უცხო ენა(ინგლისური)	M03	5	45	80	5				პროფესორები და მუშაკები
სტატისტიკა	M04	5	45	80			5		მოწვეული პედაგოგები და მუშაკები
სამაგისტრო ნაშრომი		30						30	
სულ		122			29	35	28	30	

